

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
აცხადებს ვაკანსიას საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული
ზოგადი მოდულის, „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ მასწავლებლის პოზიციაზე

სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმისა და კოლეჯის შინაგანაწესის შესაბამისად;

თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება: სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურების ტარიფის შესაბამისად;

სამუშაო ადგილი: სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“;

მის: ქ.თბილისი, გლდანი, ხიზანიშვილის ქუჩა (V და VI მ/რ შორის);

ვაკანტური ადგილის რაოდენობა: 1;

განაცხადების წარდგენის ვადა: 09.09.2019 – 20.09.2019.

მასწავლებლობის მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მოთხოვნას:

- ზოგადი განათლების საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების სამწლიანი გამოცდილება;
- საგნობრივი გამოცდით დადასტურებული ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია;
- ბაკალავრი სპეციალობით „ქართული ფილოლოგია“ (მასწავლებლობის უფლებით - გავლილი აქვს 60 კრედიტიანი პროგრამა ან პროფესიული განათლების პედაგოგიური კურსი; სხვა შემთხვევაში, პედაგოგიური კურსის გავლა სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს);
- მაგისტრი სპეციალობით „ქართული ფილოლოგია“ (სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს);
- ფილოლოგიის დოქტორი (სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს).

მოვალეობები:

- პროფესიული სტუდენტების სწავლება მოდულით, „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ განსაზღვრული თემატიკის შესაბამისად;
- კალენდარული გეგმის შედგენა სასწავლო გეგმის შესაბამისად;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და განხორციელება;
- საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტებისთვის დამატებითი შეფასების განხორციელება;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო მასალის მოდიფიცირება/აკომოდირება;
- კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა და სხვ.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- CV;
- 2 ფოტო (3X4);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- კვალიფიკაციის/შესაბამისი პროფილით მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- საგნობრივი გამოცდით დადასტურებული ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში, დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- მასწავლებლობის უფლების მოპოვების 60 კრედიტიანი პროგრამის ან პროფესიული განათლების პედაგოგიური კურსის გავლის შემთხვევაში, დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- მოდულის, „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ განხორციელების ხედვის/კონცეფციის წარმოდგენა.

კონკურსის ეტაპები:

- საბუთების გადარჩევა;
- გასაუბრება.

საკონკურსო განაცხადს თან ერთვის მოდულის, „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ ელექტრონული (word) და გაიდის/გზამკვლევის (zip) ვერსიები.

საბუთების მიღება იწარმოებს შემდეგ ელ.მისამართებზე: www.hr.gov.ge; profldaniedu@gmail.com

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“, მის: ქ.თბილისი, გლდანი, ხიზანიშვილის ქუჩა (V და VI მ/რ შორის).

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ საკონტაქტო ნომრებზე:

2 14 03 14; 2 14 03 15; 570 503 001.